განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინგლისური ფილოლოგია

შპს. საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 15/12.2019- 24/12. 2019

20 თებერვალი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205037137**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ინგლისური ფილოლოგია**
განათლების საფეხური	**მაგისტრატურა**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი 0231**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	**120 ECTS**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებული**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ჯოჯუა,** ფილოლოგიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ბაკარაძე,** ფილოლოგიის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე კვირიკაშვილი,** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**სალომე წულუკიძე,** სტუდენტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ინგლისური ფილოლოგიის აკრედიტებული (აკრედიტაციის თარიღი 11.06.2018; პროგრამის დამტკიცების ოქმის #50) სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების სკოლის მიერ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის ,,ფილოლოგიის მაგისტრი" მინიჭებას.

პროგრამა ქართულენოვანია და მოიცავს 120 კრედიტს, რაც გულისხმობს ძირითადი სპეციალობის საგნების ბლოკს – 108 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 30 კრედიტი), არჩევითი საგნების ბლოკს - 12 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და პროგრამის შემდგომი დახვეწა განვთარების მიზნით უნივერსიტეტში 2019 წლის 17 დეკემბერს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის დროსაც ექპერტებმა განახორციელეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება, გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს და გაესაუბრენ პროგრამაში ჩართულ პირებს, კერძოდ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებს, კურსდამთავრებულების დამსაქმებლები ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობასა და, როგორც პროგრამის აქტიურ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს. ექპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და ვიზიტის ბოლოს ინტერვიუს შედეგები შეაჯერეს, რის შემდეგაც, პროგრამის ჯგუფს ძირითადი მიგნებები გააცნეს.
უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტი ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში, რისთვისაც ექპერტების ჯგუფი მადლობას უხდის პროგრამაში ჩართულ თითოეულ წევრს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას აშკარაა ის უდიდესი შრომა, რაც პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამაში ჩართული თითოეული წევრის მიერ არის გაწეული. პროგრამის პერსონალი ორიენტირებულია წარმატებაზე და ღიაა კონსტრუქციული ცვლილებებისათვის, რასაც მოწმობს მთელი რიგი დეტალურად გაწერილი გონივრული ცვლილებები, რომლებიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების საპირწონედ.

პროგრამა ლოგიკურად, კომპლექსურად და თანმიმდებრულადაა აგებული და მისი შემადგენელი სასწავლო კურსების მიზნები და შედეგების შესაბამისობა პროგრამის

მიზნებისა და შედეგების კორელაციას უზრუნველყოფს. პროგრამის სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელებული შეფასების მექანიზმები მოქნილი და ეფექტურია და ფუნქციონირებს შპს. საქართველოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროცესისა და რეგულაციების შესაბამისად. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, ასევე აკადემიური და მოწვეული პროფესურა, რომელიც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და შესაბამისი სკოლის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სტუდენტებზე ორიენტირებულ სწავლებას, მათთვის სასიამოვნო და საქმიანი გარემოს შექმნას და, რაც მთავარია, იმ დადებითი ემოციების გენერირებას, რაც სტუდენტებმა ვიზიტისას გამოავლინეს.

პროგრამისათვის განკუთვნილი თანამედროვე ტექნილოგიური მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორია, საგამოცდო დარბაზი, ბიბლიოთეკა შესაბამისი ატრიბუტებით, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მიუხედავად უკვე გამხორციელებული ცვლილებისა, პროგრამის მაქსიმალურად ეფექტური ათვისების მიზნით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება: ლიტერატურის გამდიდრება ცოცხალი და ავტენტური ენის შემცველი მასალებით ;პროგრამაში სტუდენტებზე-ორიენტირებული სწავლების მეთოდების მეტად ინტეგრირება, რათა მოხდეს კველა კონკრეტული სწავლის შედეგის (მათ შორის ტრანსფერული უნარების) გამომუშავება და შემდგომში შეფასება; მაგისტრანტთა შეფასების მრავალფეროვანი გზების ძიება და კონკრეტული კურსის სპეციფიკაზე მორგებული კრიტერიუმების შემუშავება; ასევე პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებისთვის მეტი მუშაობა.

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

1. გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია; უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლებთან თანამშრომლობით განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები ერთი მხრივ, სტუდენტთა საერთაშორისო მასშტაბით ინტერესის გაღვივების, სამეცნიერო გააქტიურების, წახალისებისა და მათი საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისადმი მომზადების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელი ექსპერტებისა და სპეციალისტების მეტად ჩართულობით პროგრამაში; ასევე, უნივერსიტეტის აფილირებულ პერსონალს მიეცეს ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე, მაღალი ციტირების მქონე ინდექსირებად ჟურნალებში გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები;
2. გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების უკეთ საპასუხოდ განიხილოს ანდგრაგოგიკის საფუძვლებისა და ქართულ ენაზე რედაქტირებაზე მორგებული სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში; ასევე

სასურველია, მაგისტრანტების წახალისება სწავლების მეთოდებისა და ეთიკის ნორმების შესახებ ორგანიზებულ ტრენინგებში.

3. სასწავლო მასალა გადაიხედოს და გამდიდრდეს უახლესი გამოცემებითა და ავთენტური მასალით; ენობრივი კომპეტენციის ფორმირებაზე ორიენტირებულ კურსებში მეტად ინტეგრირდეს ავთენტური, ცოცხალი ენის შემცველი ინგლისურენოვანი მასალა. ასევე, ინგლისური ენა I და ინგლისური ენა II-ის სასწავლო მასალას დაემატოს შესაბამისი დონის C1 ტესტების კრებული.
4. პროგრამის ჯგუფის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.
5. პროგრამაში და მისი შემადგენელი კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სწავლა/ სწავლების მეთოდები და აქტივობები; ეს უკანასკენლი გამდიდრდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობებით, რომლებიც დაკონკრეტდება შესაბამისი კურსის სილაბუსებში;
6. ლექციისა და სემინარის მეთოდებს დაემატოს კოლაბორაციული სწავლება, რაც მოიცავს ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს.
7. შეიქმნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.
8. მეტი დამოუკიდებლობა მიეცეს მაგისტრანტს სამაგისტრო თემის შერჩევის დროს; კვლევაში - სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში გააქტიურდეს ონლაინ სამეცნიერო ბაზების გამოყენება სტუდენტების მიერ;
9. უფრო მეტად იყოს აკადემიური პერსონალი ჩართული და ინტეგრირებული საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, პროგრამის ჯგუფმა ინგლისური ენის კომპეტენციის C1 დონის შესაბამისი გამოცდის შეფასების მექანიზმების უკეთ გასააზრებლად და საერთაშორისო გამოცდილების უკეთ გაზიარებისა და პირდაპირი შეფასების პროცესში უკეთ დანერგვის მიზნით ითანამშრომლოს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდების ცენტრების მიერ.
2. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს ის სფეროები, რომელთა ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტებსაც ექნებათ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების უფლება.
3. სასურველია, ლაბორატორული მეცადინეობების სტრუქტურის, შინაარსისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნას საერთაშორისოდ აკრედიტებული სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება.
4. გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სქემები და მეტი პროცენტულობა მიენიჭოს ე.წ. ორიგინალურ კვლევის კომპონენტს.
5. ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს კვლევების, სხვადასხვა პროექტისა და ლიტერატურისათვის, რაც გაზრდის პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა აქტივობაში, მიუხედავად იმისა, რომ

მათთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ფინანსური მხარდაჭერა (გრანტები, სტიპენდიები).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - წინა აკრედიტაციის დროს ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები პროგრამის შემდგომი დახვეწის მიზნით, რაც ექსპერტთა აზრით, დადებითად აისახა პროგრამაზე. კერძოდ, ინგლისური ენის ფლობის ტერმინალურ დონედ განისაზღვრა ენის კომპეტენტური ფლობის დონე (C1). გარდა ამისა, პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი საგნები; ამას გარდა დამსაქმებლის მოთხოვნის საპასუხოდ, პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი კურსი ,,რეფერირება", ,,აკადემიური წერა ფილოლოგებისთვის" პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით ინგლისურ ენაზე; ასევე ინგლისურენოვანი საგნები ,,ენა და კომუნიკაცია", სემანტიკა", ინგლისური ლიტერატურის ისტორია", „ამერიკული ლიტერატურის ისტორია", „მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი", „სოციოლინგვისტიკა" და სხვ.). დადებითი ცვლილებები განხორციელდა შეფასების მეზანიზმების კუთხითაც (მაგ., პროგრამის ძირითადი საგნების ბლოკში შემავალი სასწავლო კურსების („ინგლისური ენა I", „ინგლისური ენა II") შუალედური შეფასების ფორმად კომპიუტერულ გამოცდასთან ერთად განისაზღვრა ზეპირი გამოცდა; თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისათვის რელევანტური უნარების გამომუშავების მიზნით, გამოცდის ფორმებად განისაზღვრა მცირე კვლევებისა და პრეზენტაციების შეფასება; მოდიფიცირდა, გადახალისდა და გამდიდრდა არჩევითი საგნების ბლოკიც და კრედიტების რაოდენობაც (მაგ., 24 კრედიტის ნაცვლად 12 კრედიტი; ასევე, არჩევითი საგნების ბლოკს დაემატა 3 კრედიტიანი ინგლისურენოვანი საგანი ,,ინტერკულტურული კომუნიკაცია", რაც მულტიკულტურულ სივრცეში კურსდამთავრებულების ინტეგრაციას უზრუნველყოფს და ა.შ.).
    აღნიშნული ცვლილებების განხორციეელბისას გათვალისწინებულ იქნა მაგისტრანტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შესაბამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და გულისხმობს თანამედროვე ფილოლოგიური დისციპლინის, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, უნარების, კომპლექსური ფილოლოგიური თეორიული ცოდნისა და მისი პრაქტიკაში რელევანტური აპლიკაციის უნარის მქონე ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის მომზადებას, რომელიც წარმატებით შეძლებს საკუთარი წვლილის შეტანას კულტურათაშორის დიალოგისა და საქართველოს ინგლისურენოვან ქვეყნებთან ინტეგრაციის პროცესში. შესაბამისად, თავად მიზანი რეალისტური და მიღწევადია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის კურსდამთავრებულის, კერძოდ, მაგისტრის ხარისხის მქონე პირისათვის., რომელსაც სრულად უნდა ჰქონდეს გათავისებული აკადემიური და სოციალურ-კულტურული ღირებულებების მნიშვნელობა უნივერსიტეტის-შემდგომ ეტაპზე, იქნება ეს პროფესიულ საქმაინობა, უმაღლესი განათლების შემდგომი საფეხური- დოქტორანტურა, თუ უბრალოდ, საზოგადოებრივი ცხოვრება. o მოცემული უსდ-ს სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის შემდეგი ღირებულებების გაცნობიერების ხელშეწყობას: 1) კეთილსინდისიერება; 2) პიროვნების პატივისცემა; 4) კოოპერაცია და სოლიდარობა; 5) განვითარებისკენ სწრაფვა; 6) პასუხისმგებლობა. აკრედიტაციის ვიზიტის შედეგებიდან გამოვლინდა, რომ პროგრამის ჯგუფს გააზრებული აქვს აღნიშნული ღირებულებების მნიშვნელობა და ცდილობს მაღალი პიროვნული, საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი პიროვნების მომზადებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიის პირველი პუნქტის- აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების

სამივე საფეხურზე ფუნქციონირებს ე.წ. Turnitin-ის ელექტრონული სისტემა, რომელიც ამოწმებს წერითი, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის ავთენტურობას და უზრუნველყოფს პლაგიარიზმის პრევენციას.

- პროგრამის მიზნები ასევე ეხმიანება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას, კერძოდ, 21 საუკუნის ინოვაციური მიდგომების დანერგვას, როგორც პროგრამული, ასევე მენეჯმენტის ხაზით, რასაც მოწმობს უნივერსიტეტის მიერ მულტიმოდალური ელექტრონული სისტემის -LMS აქტიურად და ინტენსიურად ინტეგრირება სწავლების პროცესში პროგრამის ადმინისტრაციული და ხარისხის მართვის მიმართულებით.

- აღნიშნული პროგრამის მიზნები საჯაროა და მარტივად ხელმისაწვდომი რამდენადაც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდის სამაგისტრო პროგრამების ბლოკში (https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=255).

- რაც შეეხება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს,ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაცია სუსტია: პროგრამის კურსდამთავრებულების უმეტესობა ძირითადად არ მონაწილეობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ცალკეული შემთხვევების გარდა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნების შემუშევებისას გათვალისწინებული იყო კონკრეტული საერთაშორისო გამოცდილება (პროგრამის ანალოგებია- ოსტრავას (https://ff.osu.eu/kaa/23245/english-philology-nmgr/) (ჩეხეთის რესპუბლიკა) და გოტინგემის (გერმანია) უნივერსიტეტების (https://www.daad.de/deutschland/studienangebote/internationalprogrammes/en/detail/4334/#tab_overview) სამაგისტრო პროგრამები), უშუალოდ სწავლის პროცესში უცხოელ ექსპერტებსა და სპეციალისტებთან კონსულტაციები და სხვა სახის თანამშრომლობა არ დასტურდება. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის აქტიურ ჩართვას სამეცნიერო- პედაგოგიურ საქმიანობაში- ფინანსდება სტატიების გამოქვეყნება საუნივერსიტეტო სამეცნიერო ჟურნალში, ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ., უმეტესწილად აღნიშნული აქტივობები ადგილობრივი სამეცნიერო წრეებისთვისაა განკუთვნილი (მეტი წილი სტატიებისა იბეჭდება ქართულ ენაზე სხვადასხვა კერძო გამომცემლების მიერ) და არ ატარებს საერთაშორისო ხასიათს.

- როგორც ვიზიტის შედეგებმა და თვითშეფასების ანგარიშმა ცხადყო, პროგრამის ჯგუფს გააზრებული აქვს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა და თავადაც მიიჩნევს მას გასაუმჯობესებელ მხარედ, თუმცა პროგრამას კონკრეტული ინტერნაციონალიზაციის გასაუმჯობესებლი სამოქმედო გეგმა ჯერ-ჯერობით არ აქვს შემუშავებული გარდა ცალკეული მოკლე-ვადიანი აქტივობებისა (იგეგმება სტუდენტთა ჩართვა ე.წ. i.learn.com ვებ საიტზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნული აქტივობა სამაგისტრო საფეხურისათვის ნაკლებად რელევანტურია)
- მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის (და არა მარტო პროფესორ-მასწავლებლებისათვის) კრიტიკულად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით საზოგადოებში ინტეგრირების მაქსიმალური ხელშეწყობა;

სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროგრამებში, მონაწილეობის დაფინანსება და სხვადასხვა წახალისების მექანიზმების შემუშევება, უცხოელ სტუდენტებთან სოციალური ინტეგრირება (თუნდაც უნივერსიტეტის სხვა სკოლების, მაგ., საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა- უცხოურენოვანი პროგრამების უცხოელ სტუდენტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა), დარგის უცხოელი სპეციალისტების და ადგილობრივი ექსპერტების კოლაბორაციის ხელშეწყობა და უცხოელი ექსპერტების ჩართვა სწავლების პროცესში; ასევე, მათთვის საჯარო ლექციების ორგანიზება, და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ინტერნეტთან ინტენსიურმა წვდომამ საკმაოდ გაამარტივა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პროცესი ქვეყნიდან გაუსვლელად, კერძოდ, პრობლემას აღარ წარმოადგენს უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაცია ფიზიკური დისტანციის მიუხედავად, უნივერსიტეტს თავისუფლად შეუძლია ინტერნეტის საშუალებით (Skype, Zoom, ა.შ.) მოაწყოს ვიდეო ლექციები, ინტერაქციული სესიები და ა შ. . ექპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემული სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღესდღეობით ფილოლოგიურ წრეებში ენათა კომპარატივისტიკა (შედარება) ძალზე აქტუალურია. ამ ჭრილში, ქართული და ინგლისური ენების სხვადასხვა სტრუქტურებისა და სისტემების შედარება საუკეთესო შანსი იქნება ერთი მხრივ, საერთაშორისო წრეებისთვის ქართული ისტორიული, კულტურული თუ სხვა თავისებურებების გაცნობისა, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო აკადემიურ წრეებში ახალგაზრდა ქართველი მეცნიერების უკეთ ინტეგრირებისა. გარდა ამისა, ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულთათვის ენობრივი ბარიერი ფაქტობრივად არ არსებობს- პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის სპეციალისტების პროფესიულ C1 დონეზე მომზადებას, რაც მათთვის საკმაოდ კომფორტულ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით გარემოს უზრუნველყოფს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მიზნები; ▪ უსდ-ის, სკოლის მისია, მიზნები და სტრატეგია; ▪ ვებგვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები; ▪ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: o გაძლიერდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია; უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლებთან თანამშრომლობით განხორციელდეს კონკრეტული აქტივობები ერთი მხრივ, სტუდენტთა საერთაშორისო მასშტაბით ინტერესის გაღვივების, სამეცნიერო გააქტიურების და წახალისების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელი

ექსპერტებისა და სპეციალისტების მეტად ჩართულობით პროგრამაში; ასევე, უნივერსიტეტის აფილირებულ პერსონალს მიეცეს ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე, მაღალი ციტირების მქონე ინდექსირებად ჟურნალებში გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში განსაზღვრულია კონკრეტული სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება პროგრამის განხორციელებისთვის დასახულ მიზნებს და კლასიფიცირდება სამი ძირითადი მიმართულებით. 1. სწავლის ცოდნისა და გაცნობიერების შედეგები, რაც ძირითადად გულისხმობს თანამედროვე

ფილოლოგიური თეორიული ცნებების, პრინციპებისა და მათი შესწავლის კომპექსურობის გაცნობიერებას; 2. პროგრამაზე სწავლის შედეგეად გამომუშავებულ უნარებს, რაც მოიცავს აკუმულირებული თეორიული მეთოდებისა და მიდგომების ერთი მხრივ, აკადემიურ დისკურში პრაქტიკულ აპლიკაციას, ხოლო მეორე მხრივ, შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში მიზნობრივად და ეფექტურად გამოყენებას. 3. სწავლის შედეგად გამომუშავებული პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის პრინციპების გათავისებას და მათ გამოყენებას ცხოვრების შემდგომ ეტაპზე, როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული განვითარების პროცესში.

- პროგრამის შედეგები რეალისტური და მიღწევადია, ვინაიდან პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ორიენტირებულია თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სინთეზზე კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული სახის აქტივობების ხარჯზე (მაგ., კურსით განსაზღვრული კვლევები სოციოლინგვისტიკასა და კონტრასტივიკაში), რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების რუკითა და სწავლის შედეგების მატრიცით.
- პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია, რაც დასტურდება შედეგების გასაზომად გამოყენებული როგორც პირდაპირი (მაგ. სტუდენტების კვლევითი ნაშრომების ანალიზი, ცალკეული კურსებით გათვალისწინებული შეფასების მექანიზმები), ისე არაპირდაპირი (მაგ. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები) მეთოდებით. მონაცემები ანალიზდება და განიხილება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის მოდიფიცირების საჭიროება.
    - პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგია კურსდამთავრებული ,,აგებს ინგლისური ენის კომპეტენტური გამოყენებისათვის (C1) შესაბამისი სირთულის ეფექტურად სტრუქტურირებულ წერილობით და ზეპირ ტექსტებს სპონტანურად, შეუფერხებლად ადეკვატური სტილის, ორგანიზაციული მოდელებისა და კოჰეზიური საშუალებების მიზნობრივი გამოყენებით“. მოცემული ენობრივი კომპეტენცია შეესაბამება ენათა შესახებ საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს მოთხოვნებს C1 დონისათვის და მისი შეფასებისათვის სპეციფიკური ცოდნა და გადამომზადებაა საჭირო. ინგლისური ენაზე C1 დონის დამამტკიცებელი საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე გამოცდები (CAE-Cambridge English Advanced; IELTS- შესაბამისი ქულით და სხვ.) საქართველოში ადმინისტრირდება რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ, რომლებიც შედეგებს გზავნიან სათაო ოფისებში ობიექტურობის, ვალიდურობისა და ავთენტურობის დაცვის მიზნით, სადაც სპეციალურად გამოცდის შეფასებისათვის შერჩეული კომისია აფასებს გამოცდის წერილობით და ზეპირ ჩანაწერებს; შემდგომ გაიცემა საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატები, რაც ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ამდენად, სასურველია, პროგრამის ჯგუფი მეტად ორიენტირდეს პროფესიული ენობრივი კომპეტენციის განმავითარებული (ინგლისური ენა I და ინგლისური ენა II) კურსების ფარგლებში აღნიშნული სასერთიფიკატო გამოცდებისათვის სტუდენტების მომზადებაზე (ბოლო 5 წლის მონაცემებით 26 კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 2-მა ჩააბარა სასერტიფიკატო გამოცდა), კერძოდ, კურსების შინაარსი და სასწავლო მასალა მეტად მოერგოს აღნიშნული

სასერთიფიკატო გამოცდების სპეციფიკას, ხოლო საბოლოო შეფასებისას გათვალისწინებული იქნას შესაბამისი გამოცდების შეფასების მეთოდები (დეტალურად იხ. 2.3).

- მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შედეგები შეესაბამება ინგლისური ფილოლოგიის დარგის სპეციფიკას და შეძლებისდაგვარად პასუხობს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს. კურსდამთავრებულები ძირითადად საქმნდებიან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში- სკოლებსა და ენის ცენტრებში, ასევე ადგილობრივ საგამომცემლო ორგანიზაციებში (მაგ., ენების ცენტრები ,, Millenium House", Millenium Gate", გამომცემლობა ,,ადაპტი", გამომცემლობა ,,სიესტა" და სხვ.). ეს თანამშრომლობა გაფორმებულია მემორანდუმების სახით და ატარებს ინტენსიურ ხასიათს. გარდა ამისა, ინტერვიუმ ცხადყო, რომ დამსაქმებლები იცნობენ პროგრამას და მონაწილეობენ მისი შედეგების შეფასების პროცესში, კერძოდ, აღინიშნა, რომ თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად გამომცემლობების წარმომადგენლებმა კონკრეტული რეკომენდაცია შეიმუშავეს, რის შედეგადაც პროგრამას დაემატა სავალდებულო კურსი ,,რეფერირება" ინგლისურ ენაზე.

  თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებელთან ინტერვიუმ ასევე, გამოავლინა ქართულ ენაზე რედაქტირების საჭიროება; როგორც დამსაქმებელმა აღნიშნა, მოცემულ გამომცემლობაში მეტი აქცენტი კეთდება ლიტერატურის უცხო ენიდან ქართულ ენაზე თარგმნაზე, რასაც, როგორც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, პროგრამის ჯგუფისგან რეაგირება სჭირდება. რაც შეეხება დასაქმების მეორე მსხვილ სექტორს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აქ სტუდენტები ძირითადად საქმდებიან უცხო ენის მასწავლებლებლად. შესაბამისად, მათ უნდა გააჩნდეთ გარკვეული ბაზისური ცოდნა სწავლების დაგეგმვის, მეთოდებისა და ეთიკის ნორმების შესახებ. როგორც ირკვევა, დასაქმებულების უმეტესობას ბაკალავრიატში აქვს გავლილი 60 კრედიტიანი მასწავლებლის მომზადების პროგრამა, ან მასწავლებელთა გადამზადების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები; შესაბამისად, დამსაქმებელი კმაყოფილია მათი საქმიანობით. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის ჯგუფის რეაგირება ამ კუთხითაც საჭიროა; უნდა განიხილოს განათლების ფსიქოლოგიისა ან რაიმე სხვა მსგავსი შინაარსის კურსის პროგრამაში. ინტეგრირების შესაძლებლობა. ასევე, შესაძლებელია შესაბამის ტრენინგებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისების სხვადასხვა მექანიზმების დანერგვაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და მისი სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი ოქმები;
- ვებგვერდი;
- დასაქმებულების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- შრომითი ბაზრის მოთხოვნების უკეთ საპასუხოდ გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და განიხილოს ანდგრაგოგიკის საფუძვლებისა და ქართულ ენაზე რედაქტირებაზე მორგებული სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში; ასევე სასურველია, მაგისტრანტების წახალისება სწავლების მეთოდებისა და ეთიკის ნორმების შესახებ ორგანიზებულ ტრენინგებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ჯგუფმა ინგლისური ენის კომპეტენციის C1 დონის შესაბამისი გამოცდის შეფასების მექანიზმების უკეთ გასააზრებლად და საერთაშორისო გამოცდილების უკეთ გაზიარებისა და პირდაპირი შეფასების პროცესში უკეთ დანერგვის მიზნით ითანამშრომლოს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდების ცენტრების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში განხორციელებული ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და მოიცავს როგორც საერთო სამაგისტრო გამოცდის, ასევე, შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი და წერილობითი გამოცდის ჩაბარებასაც. უფროკონკრეტულად, პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია 1) ნებისმიერ პიროვნებას ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, 2) ინგლისურ ენაში (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის შედეგად. o ადმინისტრაციული რეგისტრაციის და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე (ინგლისური ენის სავალდებულო კომპეტენცია განისაზღვრება B2 დონით). o ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამუშაო ენა ქართულია, თუმცა მოიცავს ინგლისური ენის კომპონენტს, რაც გულისხმობს გარკვეული სასწავლო კურსების ჩატარებას ინგლისურ ენაზე, რის წარმატებით რეალიზებასაც წინაპირობაში მითითებული ენობრივი კომპეტენციის დონე სავსებით

აკმაყოფილებს. აქვე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შემადგენელი კურსების დიდი ნაწილის კომპლექსური და საკუთრივ ფილოლოგიური შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს ის სფეროები, რომელთა ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტებსაც ექნებათ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების უფლება. (დღესდღეობით, როგორც ინტერვიუმ ცხადყო, პროგრამის სტუდენტებს არ უჭირთ აღნიშნული კურსების დაძლევა, რადგან უმეტესობას გააჩნია ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის ხარისხი, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მიზნების სრულყოფილად მისაღწევად, მოცემული რჩევის გათვალისწინება მნიშვნელოვნად გაზრდის კურსების შინაარსის მაქსიმალურ ათვისებას არა მხოლოდ ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრებისთვის, არამედ, სხვა მონათესავე დარგების კურსდამთავრებულთათვისაც). ზემოთაღნიშნული დაშვების წინაპირობები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია, რამდენადაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და საჯაროდ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ფართო აუდიტორიისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ▪ საგანმანათლებლო პროგრამა ▪ ვებგვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები. ▪ თვითშეფასების ანგარიში. ▪ უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს ის სფეროები, რომელთა ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტებსაც ექნებათ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების უფლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o თვითშეფასების ანგარიშის, საგანმანათლებლო პროგრამის, თანდართული ფაილებისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე ექპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატორი არის სკოლის დირექტორი ან შესაბამისი სკოლის დეპარტამენტის უფროსი, რომელიც სკოლის საბჭოზე წარმოადგენს დასკვნას პროგრამის მიზანშეწონილობის შესახებ. დასკვნაში დასაბუთებულია მოთხოვნა მოცემულ სპეციალობაზე; დასაქმების ბაზარზე მოცემულ სპეციალისტებზე მოთხოვნა; კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივები; კომერციული მიზანშეწონილობა და გარკვეული ეკონომიკური მომგებიანობა, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების ალოკაციის შესაძლებლობები.და სხვ. პროგრამის შინაარსობრივ ნაწილზე პასუხისმგებელია სკოლა, რომელიც სრული ავტონომიურობით სარგებლობს პროგრამის პრიორიტეტებისა და შინაარსობრივ მხარეზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისას.
- o პროგრამის თვითშეფასება და სილაბუსები მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და ხდება მათი დადარება უმაღლესი განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებსა და საქართველოს უნივერსიტეტის დებულებასთან.

- პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი - შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოთი უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის განსაზღვრულ მიმართულებას - ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები (02), დარგი/სპეციალობა - ენები (023 ქვედარგი/სპეციალობა - ინგლისური ფილოლოგია (0231.1.2).
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ინგლისურ ფილოლოგიაში პროგრამით განსაზღვრულია 120 ECTS რაც მოიცავს: პროგრამის ძირითად საგნებს - 108 ECTS (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა – 30 კრედიტი); ასარჩევ საგნებს - 12 ECTS. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და პროგრამის სტრუქტურასთან ერთად ორენტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე.
- პროგრამა აგებულია ლოგიკურად, თანმიმდევრულად და ადეკვატურად, კერძოდ, თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობას (მაგ., კურსის ,,კონტრასტივიკა“ წინაპირობაა ,, ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და კვლევის მეთოდები“, ,,ინგლისური II”- ის წინაპირობაა ინგლისური I და სხვ.).
- პროგრამის შინაარსი კომპლექსურია და სწავლების საფეხურის შესაბამისი. რაც შეეხება ახალი კვლევის შედეგებისა და დარგის თანამედროვე მიღწევების ასახვას, როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრისას დაეყრდნო ცნობილი ფილოლოგის, ჯეიმზ ტერნერის სტატიას, შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჰოლისტური ხედვა, რამაც გამოიწვია პროგრამაში წმინდა ლინგვისტიკაზე ორიენტირებულ საგნებთან ერთად ლიტერატურის ინტეგრირებაც. აქვე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია ახალი კვლევის შედეგები და დარგის თანამდროვე მიღწევები არა მარტო პროგრამის ხელმძღვანელისთვის იყოს ხელმისაწვდომი და გასაგები, არამედ, სასურველია, მაგისტრანტებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა ინტენსიურად გაეცნონ სიახლეებს და გაიაზრონ დისციპ;ლინის თანამედროვე ტენდენციები (იხ. 2.3).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თან დართული სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ვებგვერდი;
- პროგრამის შემუშავებისა და განვითარების დამადასტურებელი ოქმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
▯ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ▯ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ინგლისური ფილოლოგიის კომპეტენციის სრულყოფის მიზნით პროგრამით გათვლისწინებულია მთელი რიგი სპეციალობის ძირითადი საგნები, რომლებიც ემსახურება პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების უზრუნველყოფას (მაგ.,

(„ენა და კომუნიკაცია (ინგ.)“, „სემანტიკა (ინგ.)“, „ინგლისური ლიტერატურის ისტორია (ინგ.)“, „ამერიკული ლიტერატურის ისტორია (ინგ.)“, „მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ინგ.)“, „სოციოლინგვისტიკა“, ,,ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და კვლევის მეთოდები“ და სხვ.);

- თითოეული სასწავლო კომპონენტის კრედიტების მოცულობა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N3 გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. მაგისტრანტთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას, გამოცდების მომზადება–ჩაბარებას, რეფერატის მომზადება/პრეზენტაციას ფასდება კრედიტით, რომელიც (1 ECTS) საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს.
- თითოეული სავალდებულო კურსის შინაარსი კურსით გამოსამუშავებელი შედეგების რელევანტურია, ხოლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა - 6 ECTS (150 საათი), საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული დრო და მათი თანაფარდობა ცალკეული კურსების სპეციფიკის ადეკვატურია და უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის ათვისებასა და სასურველი შედეგის მიღწევას.
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ფასდება შუალედური და დასკვნითი წერითი და ზეპირი გამოცდის და ე.წ. ქვიზების (წერითი და ზეპირი გამოკითხვის) საშუალებით. აღსანიშნავია, რომ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისათვის რელევანტური უნარების შეფასების მიზნით, გამოცდის ფორმებად ასევე განსაზღვრულია მცირე კვლევების („მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (ინგ.)“) და პრეზენტაციების შეფასება („სოციოლინგვისტიკა“, „კონტრასტივიკა“);
- ენობრივი კომპეტენციის ფორმირებისათვის რელევანტური კურსები „ინგლისური ენა I“ და „ინგლისური ენა II“, სააუდიტორიო მეცადინეობებთან ერთად გულისხმობს ლაბორატორიულ მეცადინეობასაც, რომლის შეფასებაც ხორციელდება ენების ლაბორატორიაში სპეციალურად შექმნილი ელექტრონული პროგრამის საშუალებით. აღნიშნული ელექტრონული დავალებების შემოწმების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ თავად ლაბორატორიული მეცადინეობის ინტეგრირება აღნიშნულ კურსებში ძალიან კარგი ინიციტივაა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის, ვალიდურობის, სანდოობისა და ავთენტურობის მაქსიმალური დაცვის მიზნით, სასურველია ლაბორატორიული მეცადინეობების შინაარსი, თემატიკა და შეფასების კრიტერიუმები ეფუძნებოდეს საერთაშორისო გამოცდილებას და მეტად იყოს ორიენტირებული ცოცხალ ენაზე. დღესდღეობით მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული როგორც უფასო, ასევე ფასიანი სასწავლო ონლაინ პროგრამები, რომლებიც აკრედიტებული და ლიცენცირებულია მსოფლიოს წამყვანი საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ (მაგ., BBC Learning English: http://www.bbc.co.uk/learningenglish/; British Council Leaning English: https://learnenglish.britishcouncil.org/; Cambridge English: https://www.cambridgeenglish.org/; Pearson/MyLab https://www.pearsonmylabandmastering.com/global/ და სხვ.).
- რაც შეეხება სილაბუსებში მითითებულ მასალას, დოკუმენტაციის კვლევის შედეგად,

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის მიზნებისა და შედეგების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა როგორც სავალდებულო ასევე სხვა დამხმარე სასწავლო ლიტერატურის გადახედვა და გამდიდრება ავთენტური და ცოცხალი ენის შემცველი მასალით (უფრო კონკრეტულად, ცალკეული კურსების სილაბუსებში მითითებულია მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც ძირითად შემთხვევებში მოიცავს საქართველოში, უმეტესად ქართულენოვანი სპეციალისტის ავტორობით გამოცემულ ინგლისურენოვან და ქართულ კონსპექტებს (მაგ., File for English I; File for English II; და სხვ.). ექსპერტები თვლიან, რომ აღნიშნული მასალის თემატიკა ეხმიანება დარგის სიახლეებს, რელევანტურია და ავტორიც კომპეტენტური, მაგრამ პრობლემა აქ შემდეგში მდგომარეობს: აღნიშნულ წიგნებს (ყოველ შემთხვევაში იმ ქსეროასლებს, რაც ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს შემოწმდა) გამოყენებული ავთენტური ლიტერატურის ნუსხა თან არ ახლავს, და, შესაბამისად, კურსის სილაბუსი მაგისტრანტს ვერ ეხმარება სურვილისა და ინტერესისამებრ დამოუკიდებლად გაირღმავოს ცოდნა, გაეცნოს დარგის სიახლეებს და მოიძიოს დამატებითი მასალა ამა თუ იმ მიმართულებით. გარდა ამისა, პროგრამის სფეციფიკისა და ცოცხალი ენის თავისებურებების გათვალისწინებით, სასურველია, სასწავლო მასალა დიდი რაოდენობით შეიცავდეს სხვდასხვა სტილისა და თემატიკის უახლეს სტატიებს იქნება ეს პუბლიცისტური, აკადემიური თუ სამეცნიერო-კვლევითი. ასევე, სასურველია, ინგლისური ენა I და ინგლისური ენა II-ის სასწავლო მასალაში გათვალისწინებული იქნას სასერთიფიკატო გამოცდების ნიმუშები, რაც შესაძლებელია ლიტერატურაში შესაბამისი დონის ტესტების კრებულის დამატებით, ამგვარად სტუდენტებს მეტი წარმოდგენა შეექმნებათ საგამოცდო ფორმატზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - საგანმანათლებლო პროგრამა და თან დართული სილაბუსები;
  - კურიკულუმის რუკა;
  - სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
  - გამოკითხვის შედეგები;
  - ინტერვიუს შედეგები.
  - მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

- სასწავლო მასალა გადაიხედოს და გამდიდრდეს უახლესი გამოცემებითა და ავთენტური მასალით; ენობრივი კომპეტენციის ფორმირებაზე ორიენტირებულ კურსებში მეტად ინტეგრირდეს ავთენტური, ცოცხალი ენის შემცველი ინგლისურენოვანი მასალა.

- ინგლისური ენა I და ინგლისური ენა II-ის სასწავლო მასალას დაემატოს შესაბამისი დონის C1 ტესტების კრებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● სასურველია, ლაბორატორული მეცადინეობების სტრუქტურის, შინაარსისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნას საერთაშორისოდ აკრედიტებული სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე, ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: o ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა და ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა სკოლა უწყობს ხელს მაგისტრანტების სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობაში ჩართვას და შესაბამისი უნარების გამომუშავებას, იმდენად რამდენადაც, მაგისტრანტებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ, ასევე, მონაწილეობა მიიღონ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციებში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და ფილოლოგიაში, ასევე ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარატამენტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. როგორც მასალების ანალიზმა ცხადყო, ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტები მართალია, არ გამოირჩევიან მაღალი სამეცნიერო აქტივობით, მაგრამ სკოლის მიერ შეთავაზებული ინიციატივები და ღონისძიებები უდავოდ ემსახურება მათი სამეცნიერო მუშაობის კუთხით მოტივაციის გაზრდას. o გარდა ამისა, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისად, პროგრამა სწავლის მე-4 სემესტრში ითვალისწინებს 30 კრედიტიანი ინდივიდუალური სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, რაც აუცილებელი პირობაა ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. o აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომში დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის უნარების უკეთ განსავითარებლად და სტუდენტთა უკეთ მოსამზადებლად პროგრამა სპეციალობის ძირითად თეორიულ საგნებში ასევე გულისხმობს რეფერატს ან პროექტს (მცირე კვლევას), როგორც პროგრამაშია მითითებული. o რაც შეეხება პრაქტიკული და ზოგადტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, პროგრამის შემავალ კურსებში ჩაშენებულია პრაქტიკული მეცადინეობები (მაგ., პრეზენტაცია, დისკუსია, დებატები, ესე, და სხვ.), რაც ორიენტირებულია აღნიშნული უნარების განვითარებაზე, თუმცა ნაკლებად იკვეთება სტუდენტებისთვის **კოლაბორაციული** უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც ექსპერტთა აზრით, უმნიშვნელოვანესია საუნივერსიტეტო სწავლების რეალურ პროფესიულ კონტექსტში ეფექტურად გადათარგმნის პროცესში (დეტალურად იხ. 2.5). o ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს მემორანდუმები პოტენციურ და არსებულ დამსაქმებლებთან, არსებული მდგომარეობით, ორგანიზებული პრაქტიკული კომპონენტი სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითებით არ დასტურდება. შესაბამისად, საჭიროა, პროგრამის ჯგუფის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • თვითშეფასების ანგარიში; • სტუდენტების გამოქვეყნებული ნაშრომები; • სტუდენტური კონფერენციების მასალები; • შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

- საჭიროა, პროგრამის ჯგუფის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

ბრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის პერსონალი აცნობიერებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობას და სტუდენტთა შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების საშუალებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახორციელებს სწავლა/სწავლების მეთოდებისა და აქტივობების გადახედვას და მორგებას სტუდენტთა საჭიროებებზე (მაგ., პროგრამაში ინტეგრირდა

სადისკუსიო თემატიკა და შესაბამისი აქტივობა, ასევე, სასწავლო კურსებში გაიზარდა ზეპირი გამოკითხვის (ქვიზის) ხვედრითი წილი). დოკუმენტაციის ანალიზმა ასევე, აჩვენა, რომ პროგრამის პერსონალი ღიაა კურსის სპეციფიკის შესაბამისად სწავლის უკეთესი შედეგის მისაღწევად მისი უფრო მოქნილი მეთოდით ჩანაცვლებისადმი. დღეისათვის პროგრამაში ინტეგრირებულია სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდები და აქტოვობები, რაც უმეტესად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უმეტესად უზრუნველყოფს მათ მიღწევას. კერძოდ, ანალიზი და სინთეზი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ლექცია-სემინარი, ინტერაქტიული მეცადინეობები, პრეზენტაციების წარდგენა, ზეპირსიტყვიერი, ანუ ვერბალური მეთოდი და დისკუსია/დებატები.

- აქ ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე შენიშვნა: 1. კონკრეტული კურსის ყველა შედეგის უკეთ მისაღწევად, ასევე ახალმოწვეული პროფესურისა და სტუდენტის მიერ სწავლება-სწავლის მეთოდების უკეთ გასააზრებლად საჭიროა გაიმიჯნოს სწავლება-სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები. გარდა ამისა, საჭიროა, ეს უკანასკნელი გამდიდრდეს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე მეტად მორგებული აქტივობებით, კერძოდ, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (Task-based Learning), შემთხვევების ანალიზი (Case study), ნიმუშების გამოყენება განსაკუთრებით წერისა და სამეცნიერო შინაარსის რეფერატების მომზადების პროცესში (Sample-based learning) და ინსტრუქციაზე დაფუძნებული სწავლება (Prompt-based learning), ასევე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში (Technology-based learning). შესაბამისად, რადგანაც მოცემულ სამაგისტრო პროგრამაში მითითებული სწავლების მეთოდები ზოგადია და მრავლისმომცველი, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, უმჯობესია თითოეული კურსისთვის კონკრეტულად განისაზღვროს აქტივობები და შესაბამისად აისახოს სილაბუსებშიც.
- 2. სწავლების მეთოდებში ლექციასა და სემინარს დაემატოს ჯგუფური პროექტები და პრეზენტაციები, რაც მეტად უზრუნველყოფს კონკრეტული ტრანსფერული უნარების, კერძოდ, ჯგუფში მუშაობისთვის აუცილებელი მოვალეობების და პასუხისმგებლობის დელეგირება, ჯგუფის ლიდერობა, კონსტრუქციული დიალოგის წარმოება, პრიორიტეტების განსაზღვრა, დროის სწორად დაგეგმვა და მართვა და სხვ. ამგვარად, თითოეული უნარის შეფასებაც შემდგომში უფრო განჭვირვალე და ლოგიკური გახდება.
- იმისათვის, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები გახდეს მოქნილი და მეტად მორგებული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე, უნდა შეიქმნას . სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა, რაც დღეის მდგომარეობით პროგრამაში არ დასტურდება.
- აქვე აღსანიშნავია, რომ სილაბუსების უმეტესობაში სწავლების მეთოდად ვკითხულობთ მსგავს ჩანაწერს - ,,ლექცია (ქვიზი)", რაც გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს. შესაბამისად, საჭიროა სილაბუსების გადახედვა ამ მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და

ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამაში და მისი შემადგენელი კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სწავლა სწავლების მეთოდები და აქტივობები; ეს უკანასკენლი გამდიდრდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობებით, რომლებიც დაკონკრეტდება შესაბამისი კურსის სილაბუსებში;
- ლექციისა და სემინარის მეთოდებს დაემატოს კოლაბორაციული სწავლება, რაც მოიცავს ჯგუფურ პროექტებსა და პრეზენტაციებს.
- შეიქმნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრანტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნით გამოცდას, რომელიც მოიცავს რამდენიმე კომპონენტს- ღია და დახურული კითხვები, თემა, დეფინიციები/ განმარტებები, რეფერატის მომზადება/პრეზენტაცია, პროექტის (მცირე კვლევა) მოზადება და პრეზენტაცია.
- თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს(მაგ., თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისათვის რელევანტური უნარების ფორმირების მიზნით, გამოცდის ფორმებად სასწავლო კურსებში ,,მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“, ,,სოციოლინგვისტიკა“ და ,,კონტრასტივიკა“ განსაზღვრულია მცირე კვლევების და პრეზენტაციების შეფასება).
- ვიზიტის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, შეფასების მექნიზმი გამჭვირვალეა, ობიექტური და სანდო, რამდენადაც გამოცდები ცენტრალიზებულია და მათი გასწორება უმეტესად ხორცილედება ელექტრონული სისტემის ,,ჩემი UG-ის-მეშვეობით. მას შემდეგ რაც ნაწერები სკანერდება, დაიშიფრება და ეგზავნება გამსწორებელს, რომელსაც აღნიშნული პროგრამა ელექტრონულად კომენტარების გაკეთების საშუალებას აძლევს, ასე რომ სტუდენტი იღებს უკუკავშირს ონლაინ რეჟიმში- ხედავს დაწერილ ქულასა და შესაბამის კომენტარს. გამსწორებელი, თავის მხრივ კოდირების გამო ანონიმურად ასწორებს საგამოცდო ნაწერს. გამართულია შედეგების გასაჩივრების სქემაც: სტუდენტი ელექტრონული სახით ავსებს განცხადებას სკოლის დირექტორის სახელზე, რომელიც შემდგომში შესაბამის დეპარტამენტთან ამისამართებს განაცხადს; დგება კომისია, რომელიც განიხილავს კონკრეტულ შემთხვევას, დგება ოქმი და როგორც პროგრამის პერსონალი აღნიშნავს, პრობლემური ნიშანი უმეტესწილად, სტუდენტის სასარგებლოდ წყდება, რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების კიდევ ერთი ინდიკატორია.

  ინტერვიუმ ცხადყო, რომ შეფასების მეთოდები კარგადაა ცნობილი, როგორც პროგრამის აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის: სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა, მოცემულია შესაბამის სილაბუსებში და შესაბამისად, წინასწარვეა სტუდენტებისთვის ცნობილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • პროგრამა და შესაბამისი სილაბუსები; • აკადემიური პერსონალის კვლევის ანგარიში • სტუდენტთა კვლევის ანგარიში • შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები; • ელექტრონული პორტალი; • შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები; • ვებგვერდი; • გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პოცესის დაგემვასა და აკადემიური მოსწრების შესახებ. უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა MY UG და უნივერსიტეტის ვებ გვერდი, ამასთანავე თითოეულ სტუდენტს აქვს უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი, რის მეშვეობითაც მაგისტრანტები უწყვეტ რეჟიმიში იღებენ ინფორმაციას. o სასწავლო წლის დასაწყისში, ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის იმართება საორიენტაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტები ეცნობიან უნივერსიტეტის რეგულაციებს, სიახლეებსა და ადმინისტრაციას. გარდა ამისა, როგორც გამოკითხვის დროს უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაადასტურეს, ფაკულტეტზე ეწყობა ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები კვირაში სამჯერ, რომელთაც უძღვება როგორც მოწვეული, ასევე, აკადემიური პერსონალი. ამასთანავე სტუდენტს საჭიროებისამებრ შეუძლია კითხვებით მიმართოს პროგრამის ხელმძღვანელსა და ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორს. ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, რომელზეც წვდომა ყველა სტუდენტს აქვს. პერიოდულად სტუდენტები ავსებენ კმაყოფილების კითხვარს, რომელიც ეგზავნებათ მათ ელექტრონულ ფოსტაზე ან საკუთარ ელექტრონულ პლატფორმაზე, სადაც შეუძლიათ საკუთარი აზრის დაფიქსირება და კმაყოფილების ან უკმაყოფილების გამოხატვა.

- უნივერსიტეტში არსებობს დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველჰყოფს სტუდენტთა ინფორმირებულობას ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში. ინტერვიუში მონაწილე სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ დეპარტამენტი მათ დროულად აწვდის ინფორმაციას როგორც ვაკანსიებთან, ასევე ტრენინგებთან და დასაქმების ფორუმებთან დაკავშირებით.

- საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს საკუთარი ნაშრომის ქულა საჭიროებისამებრ ქულის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. ამ შემთხვევაში, იგი ელექტრონული პლატფორმა MY UG-ს მეშვეობით ავსებს განცხადების ფორმას და ნაშრომი კიდევ ერთხელ სწორდება. მეორადი გასწორების დროს ნაშრომს არ ასწორებს საგნის ლექტორი/მასწავლებელი, ნაშრომს ასწორებს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომლისთვისაც ნაშრომი ანონიმურია.

- სტუდენტები ჩართულნი არიან არასალექციო სახის აქტივობებშიც, რომელთა შესახებ ინფორმაციას აქტიურად იღებენ MY UG პლატფორმის და ელქტრონული ფოსტის მეშვეობით. უნივერსიტეტში იმართება სხვადასხვა შინაარსის საჯარო ლექციები და ტრეინინგები, რაშიც სტუდენტებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უფასოდ. ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მონაწილეობს იღებენ საფაკულტეტო კონფერენციაში, რომელიც იმართება სემესტრში ერთხელ და ისინი წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. ამასთანავე, სტუდენტებს ინფორმაცია აქვთ საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლითი პროგრამების შესახებ. ინტერვიუს დროს, ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ იგი იყო გაცვლითი პროგრამით უცხოეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში, თუმცა თვითდაფინანსებით. ინტერვიუზე მყოფ სხვა კურსდამთავრებულებს და სტუდენტებს არ უსარგებლიათ გაცვლითი პროგრამით (დეტალურად იხ. 1.1).

- სტუდენტები სარგებლობენ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული მასალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის შედეგები;
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • გააქტიურდეს და გაძლიერდეს სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა და ხელი შეეწყოს როგორც ადგილობრივი ბაზრის, ასევე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული სტუდენტების მომზადებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მაგისტრანტებს ჰყავთ ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც ამავდროულად უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორები არიან. მათ გააჩნიათ საკვლევი თემის შესაბამისი კვალიფიკაცია, რასაც მოწმობს ერთი მხრივ, პერსონალის პირად საქმეებში ასახული სამეცნიერო პუბლიკაციების თემატიკა, ხოლო მეორე მხრივ, საკვალიფიკაციო თემის შერჩევის პროცედურა, რომლის მიხედვითაც საკვლევ თემატიკას ამტკიცებს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა. მოცემული ჩამონათვალიდან სტუდენტი ირჩევს მისთვის მისაღებ თემატიკას.

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ძირითადად 3 ეტაპად იშლება. 1. კონცეფციის წარმოდგენა; 2. წინასწარი განაცხადი; 3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. თითოეული ეტაპი და მოთხოვნები თანმიმდევრულია, გამჭვირვალეა და დეტალურადაა გაწერილი დებულებაში, საჯაროა და ვებ- გვერდის საშუალებით მაგისტრანტებისთვის ხელმისაწვდომი. სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტიანია და ხორციელდება სწავლის მე-4(ბოლო) სემესტრში.
- საქართველოს უნივერისტეტის მიერ დეტალურადაა შემუშავებული და დადგენილი ხელმძღვანელის უფლება- მოვალეობები, რომელთაგანაც ერთ-ერთ გულისხმობს მაგისტრანტთან რეგულარულ (სულ მცირე 10 -ჯერ) პირისპირ შეხვედრებს და კონსულტაციის გაწევას სამაგისტრო ნაშრომების მომზადების პროცესში ნებისმიერი საკითხის ირგვლივ, იქნება ეს კვლევის დიზაინი, გამოყენებული ლიტერატურა თუ სხვა. ინტერვიუს შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ საკონსულტაციო საათები კარგადაა ცნობილი (გამოკრულია კათედრაზე) და ათვისებული სტუდენტების მიერ. ხდება საკონსულტაციო საათების ხარისხსი სამსახურის მიერ აღრიცხვაც.
- სამაგისტრო ნაშრომების გადახედვისა და ანალიზის, ასევე, პროფესურასთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: 1. სამაგისტრო ნაშრომები ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და მიუხედავად, ხელმძღვანელის დიდი მონდომებისა და სურვილისა, გაზარდოს ე.წ. ორიგინალური კვლევის (original research) წილი, რაც მაგისტრატურის საფეხურისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს მაინც უჭირთ დამოუკიდებლად კვლევის ჩატარება და განსაკუთრებით, კონცეფციის ჩამოყალიბება. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული პრობლემა შესაძლოა აღმოიფხვრას სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებზე ქულების მოდიფიცირებით და სამაგისტრო ნაშრომის ყველა ნაწილზე თანაბარ პროცენტული გაანგარიშების ნაცვლად, ორიგინალური კვლევის კომპონენტისათვის მეტი პროცენტის მინიჭებით.

  2. საკვლევი თემატიკა მტკიცდება სკოლის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ მაგისტრანტი ირჩევს უკვე დადგენილი თემატიკიდან, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტუდენტები არ უნდა შეიზღუდონ თემის შერჩევისას, რაც მეტად უზრუნველყოფს მაგისტრანტების მოტივაციისა და ინტერესის ამაღლებას საკვლევი საკითხისადმი.

  3.სამაგისტრო ნაშრომებში ნაკლებადაა გამოყენებული საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო ბაზები, რაც დღესდღეობით თანამედროვე სამეცნიერო წრეებში ფართოდაა მიღებული და უზრუნველყოფს კვლევის მრავალფეროვნებას, თანამედროვეობასა და , აქტუალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების საქმეები და კვლევები;
- ხელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა მისი უფლება-მოვალეობების მითითებით;
- კონსულტაციების განრიგი;
- ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

▪ სამაგისტრო ნაშრომები
რეკომენდაციები: ● მეტი დამოუკიდებლობა მიეცეს მაგისტრანტს სამაგისტრო თემის შერჩევის დროს; ● კვლევაში - სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში გააქტიურდეს ონლაინ სამეცნიერო ბაზების გამოყენება სტუდენტების მიერ;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სქემები და მეტი პროცენტულობა მიენიჭოს ე.წ. ორიგინალურ (original research) კვლევის კომპონენტს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
▯ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ▯ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ▯ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ▯ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: o პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი შესაბამისობაშია პროგრამის სპეციფიკასთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევას, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 4 აფილირებული პროფესორი, 7 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 6 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამაში ასევე ჩართულია 2 უცხოელი ლექტორი. პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თეორიულ სწავლებასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას. o პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. თვითშეფასების ანგარიშისა და ადმინისტრაციასთან/სტუდენტებთან ინტერვიუირების საშუალებით ირკვევა, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის მიმართებაში სტანდარტის შესაბამისია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას,

კერძოდ, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 11/32, ხოლო აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით 19/32. ინტერვიუებიდან ასევე გაირკვა, რომ ერთი აკადემიური პერსონალი ხელმძრვანელობას უწევს არაუმეტეს 3 სტუდენტს წლის განმავლობაში. ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა არის 8/32.

- პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტის ყოველკვირეული კონსულტირების პროცესში, რისთვისაც გამოყოფილია საკონსულტაციო საათები, განრიგი განთავსებულია უნივერსიტეტის დერეფანსა და სტუდენტის პირად გვერდზე.
- პროგრამის ხელმძღვანელია აფილირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. ის აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში და ფლობს დეტალიზებულ ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი კითხულობს სალექციო კურსებს და ორგანიზებას უკეთებს კონფერენციებს ფილოლოგიის მიმართულებით.
- რაც შეეხება პროგრამის მატერიალურ რესურსს - სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და მისი წიგნადი ფონდი ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნის მიღწევას.
- პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისთვის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურში, ბიბლიოთეკაში, სკოლაში (პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სტუდენტურ საქმეთა ცენტრში მუშაობენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- პერსონალის ჩამონათვალი;
- გამოკითხვის შედეგები
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- სამუშაოს აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
☐ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ☐ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში პერიოდულად ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ადმინისტრაციისა და სტუდენტების მიერ. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს კითხვარების შემუშავებას სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების მიზნით, რომელსაც დასამტკიცებლად უგზავნის ხარისხის სამსახურს. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების მხრიდან ხდება შესაბამისი უკუკავშირის მიღება, მისი პროგრამაში გათვალისწინების მიზნით. o ადმინისტრაციის თანამშრომელები მართავენ შეხვედრებს როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან. უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური

/მოწვეული პერსონალის განვითარებას მათი სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართულობით: ტარდება უფასო ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები თანამედროვე გამოცდილების გაზიარების მიზნით. გარდა ამისა, რამდენიმე აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სემინარსა თუ ტრენინგზე.

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ახორციელებს უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს სახელწოდებით „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალი.“ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტრაქტის თანახმად, პერსონალი სასწავლო საქმიანობასთან ერთად, ვალდებულია, პროფესიული განვითარების მიზნით, ყოველწლიურად მოამზადოს სულ მცირე, ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი კვლევები იბეჭდება მხოლოდ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში და მათი საერთაშორისო კვლევებში ჩართულობა ძალზე მწირია. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, უფრო მეტად იყოს აკადემიური პერსონალი ჩართული და ინტეგრირებული საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები;
  - სამეცნიერო- კვლევითი ინტიტუტის დებულების დანართი პრემიების გაცემის წესის შესახებ;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხა;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტრაქტები;
  - ჩატარებული კონფერენციების კრებულები;
  - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- **უფრო მეტად იყოს აკადემიური პერსონალი ჩართული და ინტეგრირებული საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სრულფასოვნად ჩართვისთვის.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. პროგრამა უზრუნველყოფილია იმ ინფრასტრუქტურით, და შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით. აღსანიშნავია კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით (პროექტორები, კომპიუტერები, უკაბელო ინტერნეტი), შექმნილია კომფორტული გარემო სწავლა-სწავლებისათავის. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის შემადგენლობაში შედის ენის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებითა და პროგრამებით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება ენობრივი კომპეტენციის სრულყოფისათვის. o ბიბლიოთეკაში მოიპოვება ყველა სასწავლო მასალა, რომელთა უმეტესობა

წარმოდგენილი არის ქსეროასლის სახით. უმჯობესი იქნებოდა, ბიბლიოთეკა გამდიდრებული ყოფილიყო ავთენტური მასალით. o უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ყველა სტუდენტს შეუზღუდავი წვდომა აქვს. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები: Cambridge Journals, EBSCO, Jstor. o ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული კატალოგი მოქნილია, ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდთან წვდომა სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. ინტერვიუს შედეგების ანალიზიდან ირკვევა, რომ სტუდენტებისთვის ცნობილია ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობასთან დაკავშირებით. მათ ინტერვიუირებისას განაცხადეს, რომ მათთვის ხელმისაწვდომია აღნიშნული რესურსი. o უნივერსიტეტი აღჭურვილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საჭირო კომპიუტერული აუდიტორიებით. o ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ● შენობის გეგმა; ● კომპიუტერული და ენების სასწავლო ლაბორატორიების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებული და სხვა ხელშეკრულებები; ● შესაბამისი სამსახურების სამუშაოს აღწერილობები; ● ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ბიბლიოთეკა გამდიდრდეს სახელმძღვანელოების ორიგინალი გამოცემებით და ნაკლებად იყოს წარმოდგენილი ქსეროასლების სახით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

o ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას გააჩნია საკუთარი, ინდივიდუალური სწავლების სრულ ციკლზე გათვლილი ფინანსური გეგმა, რომლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები პროგრამაზე არსებულ სტუდენტთა რეალური რაოდენობის (სასწავლო წლის მიხედვით) გათვალისწინებით მიღებული შემოსავლებიდან არის დათვლილი. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასის ხარჯებს. ასევე გათვალისწინებულია ითვალისწინებს ხარჯებს სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ბიუჯეტი რეალისტურია, ეკონომიკურად მიღწევადი და მორგებულია პროგრამის საჭიროებებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველია გაიზარდოს გამოყოფილი თანხა შესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა პროექტისა და ლიტერატურისათვის. შესრულებული ბიუჯეტი დადასტურდა ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად.

o

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა შესაძლებლობის ფარგლებში გაიზარდოს კვლევების, სხვადასხვა პროექტისა და ლიტერატურისათვის, რაც გაზრდის პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა აქტივობაში, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის ფინანსური მხარდაჭერა (გრანტები, სტიპენდიები).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o ხარისხის უზურნველყოფის პროცესები და პროცედურები ეფექტურად არის დაგეგმილი, როგორც გამოყენებული რესურსების, ასევე დახარჯული დროის თვალსაზრისით. o საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ სკოლას დადგენილი აქვს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგზე მისი შემდგომი გაუმჯობესების, სტუდენტთა საჭიროებებსა და დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე მორგებისა და ამით კურსდამთავრებულის კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე. ამ თვალსაზრისით პროგრამის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. o შიდა ხარისხის შეფასება მოიცავს ა) აკადემიური მოსწრების ანალიზს; ბ) სწავლის შედეგების რუკას; გ) პროგრამით მაგისტრანტთა კმაყოფილების კვლევას და დ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევას. o უნივერსიტეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხდება პროგრამისა და სასწავლო კურსების დონეზე არსებულ მონაცემთა (მათ შორის სასწავლო კურსების კურატორების გამოკითხვის მონაცემებს) შეგროვება, დამუშავებასა და პროცენტული განაწილების შესწავლა, რითაც დგინდება სასწავლო კურსის სიმარტივე/სირთულის, თემატიკის რელევანტურობა/არარელევანტურობის, ლექტორის მიერ გამოყენებული შეფასების ფორმების ადეკვატურობა/არაადეკვატურობის ხარისხი და სტუდენტთა მომზადების დონე. o სწავლის თითოეული შედეგის გაზომვა ხორციელდება პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე, რომლის თანახმადაც შეფასება ხდება იმ სემესტრის ბოლოს, რომელშიც მიღწეულ იქნა სწავლის აღნიშნული შედეგი. ხდება ინფორმაციის შეგროვება (კითხვარების გამოყენებით) პროგრამით ან ცალკეული სასწავლო კურსით თუ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით სტუდენტის კმაყოფილების შესახებ; ასევე ხდება გამორკვევა თუ რამდენად უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა, საათობრივი დატვირთვა და გამოყენებული მეთოდები სასურველი შედეგის მიღწევას და ხომ არ არის აუცილებელი რომელიმე კომპონენტის კორექტირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია
- სწავლის შედეგების რუკა
- აკადემიური პერსონალის და მაგისტრანტების გამოკითხვის შედეგები
- კურიკულუმი
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ სკოლას შემუშავებული აქვს პროგრამის **ხარისხის გარე შეფასება,** რომელიც გულისხმობს პროგრამის კვლევას შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების პერსპექტივებიდან და მოიცავს: ა) დამსაქმებელთა კვლევას; ბ) კურსდამთავრებულთა კვლევასა და გ) გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასებას.
- პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ მონიტორინგზე მისი შემდგომი გაუმჯობესების, მაგისტრანტთა საჭიროებებსა და დასაქმების ბაზრის ცვალებად მოთხოვნებზე მორგებისა და ამით კურსდამთავრებულთა კონკურენტულობის მაჩვენებლის ზრდაზე.

ა) დამსაქმებელთა კვლევა

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ: სპეციალური კითხვარების გამოყენებით ხდება მოქმედ და პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა პროგრამის სწავლის შედეგების აქტუალურობის გადამოწმების, დასაქმების ბაზრის რეალური და ხშირად ცვალებადი მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით და გულისხმობს იმ არსებული თუ ახალი თეორიული ცოდნისა და უნარების დადგენას, რაც აუცილებელი წინაპირობაა კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის შესაბამისად წარმატებით დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის.

ერთ-ერთმა დამსაქმებელმა დაადასტურა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზი გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიცირება/კორექტირებისთვის.

ბ) კურსდამთავრებულთა კვლევა

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ: პროგრამის დასრულების შემდგომ პერიოდულად ხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოძიება და ანალიზი, ასევე დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა.

გ) გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება პროგრამის თაობაზე გარე ექსპერტთა თვალსაზრისის იდენტიფიცირება. მიმდინარეობს სისტემატიური ანალიზი, რომლის მიზანია გამოავლინოს, არის თუ არა მკაფიოდ ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები; ასევე მნიშვნელოვანია პროგრამის სტრუქტურას, მიზანსა და სწავლის სასურველ შედეგებს შორის შესაბამისობის ზედამხედველობა. გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასებისას, ყურადღება ექცევა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და ასევე იმას, მიღწევადია თუ არა პროგრამის სწავლის შედეგებით პროგრამის საბოლოო მიზანი.და ბოლოს, გარე

ხარისხის შეფასება იძლევა საშუალებას გაირკვეს, რამდენად სასურველი კადრია დამსაქმებლისთვის პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარებისა მქონე მაგისტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
  - ინტერვიუს შედეგები
  - დამსაქმებელთა კითხვარი
  - გარე ექსპერტთა კითხვარი
  - კურსდამთავრებულთა კითხვარი
  - პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- აკადემიური პროგრამის არსებული მონიტორინგის სისტემა ეხმარება საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ სკოლას, შეინარჩუნოს განათლების შესაბამისი დონე და ფოკუსირდეს სპეციფიკურ კრიტერიუმზე, შეაგროვოს სანდო და ვალიდური მონაცემები, იყოს მონაცემებით მართული და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება პროგრამების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.
- პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: სტუდენტები, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტის კურსდამთავრებულები და სხვა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პროგრამის ხარისხის მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების ჯგუფი; პროგრამის ამოქმედების შემდეგ, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, მომავალში სწავლების გაუმჯობესების ინდიკატორის როლს შეასრულებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
    - ინტერვიუს შედეგები
    - სტუდენტთა კვლევის შედეგები
    - კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები
    - დამსაქმებელთა კვლევის შედეგები
    - გარე ექსპერტთა კვლევის შედეგები
    - სწავლის შედეგების რუკა
    - პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **შპს საქართველოს უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **ინგლისური ფილოლოგია**
დასკვნის გვერდების რაოდენობა: **47**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის**</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა;: **ნინო ჯოჯუა:**

<u>**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის**</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა: ეკატერინე ბაკარაძე:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ეკატერინე კვირიკაშვილი:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სალომე წულუკიძე: